

შპს ელიტური სკოლა „გორდა“



“ვანტაჯი”

დირექტორი:

ნინო მურვანიძე

ბრძანება N 01-02/06 § 1; 24/08/2021

ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული

ინფექციისაგან (COVID-19) დაცვის, გავრცელების

პრევენციისა და რეაგირებათა

გაიდლაინი

(საგანგებო სიტუაციაში სამოქმედო გეგმა)

სარჩევი

|   |    |
|---|----|
| გაიდლაინის მიზანი   | 3  |
| გაიდლაინის საფუძვლები   | 3  |
| რისკების შეფასება - გავრცელების პრევენცია                                       | 3  |
| სკოლის ტერიტორიაზე დაშვების წინაპირობები  | 4  |
| სკოლის ტრანსპორტი   | 6  |
| სკოლაში შესვლა  | 7  |
| სკოლაში გადაადგილება  | 8  |
| სასწავლო პროცესის ორგანიზების პრინციპები  | 9  |
| წესები საკლასო ოთახში   | 10 |
| აკადემიური პროცესი  | 11 |
| სპორტის გაკვეთილები   | 13 |
| არაფორმალური განათლება და ე.წ.  | 14 |
| სამუშაო შეხვედრები და ღია კარის დღეები  | 15 |
| კორონავირუსზე სავარაუდო სიმპტომების მქონე და დაინფიცირებულ პირთა<br>მონიტორინგი | 15 |
| სკოლის დასუფთავებისა და დეზინფექცირების წესები და ჰიგიენის დაცვის<br>პრინციპები | 16 |
| კვების წესი სკოლაში   | 19 |
| მოლოდინები მოსწავლეებისგან  | 21 |
| მოლოდინები მშობლებისგან   | 22 |
| დასკვნითი დებულებები  | 23 |

### **გაიდლაინის მიზანი**

გაიდლაინის მიზანია შპს ელიტური სკოლა „გორდას“ (შემდგომში „სკოლა“) მოსწავლეების, თანამშრომლებისა და მათი ოჯახის წევრების ჯანმრთელობის მაქსიმალური დაცვა ახალი კორონავირუსული ინფექციისაგან (COVID-19), შესაბამისი პრინციპების, პროცედურების, მექანიზმების, ღონისძიებებისა და პასუხისმგებლობების შემოღებითა და დამკვიდრებით.

### **გაიდლაინის საფუძვლები**

გაიდლაინი ეყრდნობა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (დანართი 37: „ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული ზოგადი რეკომენდაციები ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის“), საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და საქართველოს მთავრობის უწყებათაშორის საკოორდინაციო საბჭოს, ასევე, პედაგოგის ამერიკული აკადემიისა და იუნესკოს მიერ გამოქვეყნებულ რეკომენდაციებსა და პანდემიის პირობებში სკოლათა ფუნქციონირების წარმატებულ საერთაშორისო პრაქტიკას.

### **რისკების შეფასება - გავრცელების პრევენცია**

ინფიცირების საშუალო რისკის სამუშაო ადგილები მოიცავს ისეთ სამუშაო ადგილებს, რომლებშიც დასაქმებულებს მოეთხოვება ხშირი ან/და მჭიდრო კონტაქტის ქონა (2 მეტრზე ნაკლები) იმ ადამიანებთან, რომლებიც არ წარმოადგენენ ვირუსული ინფექციით დაინფიცირებულ ან დაინფიცირებაზე საეჭვო პაციენტებს. შესაბამისად, სკოლის, როგორც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ავტორიზებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საქმიანობა წარმოადგენს ინფექციის გავრცელების საშუალო რისკის სამუშაო ადგილს.

სკოლის ტერიტორიაზე დაშვების წინასწარი შემაფერხებელი გარემოებები:

რესპირატორული ინფექციისთვის დამახასიათებელი სიმპტომების ქონა (ხველა, ტემპერატურა, ცემინება, სუთქვის გამწვანება, საერთო სისუსტე და ა.შ.);

- ნებისმიერი თანამშრომელი ან/და მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი პასუხისმგებელია სკოლის ადმინისტრაციისათვის წინასწარ შეტყობინებაზე ვირუსის ნებისმიერი სიმპტომის შინ გამოვლენის შემთხვევაში;
- ის პირები, რომლებიც ამ თავში განსაზღვრულ რომელიმე რისკ ჯგუფს ან ინფიცირებულ პაციენტებს მიეკუთვნებიან, ან გამოუვლინდათ ცხელება ან რომელიმე რესპირატორული სიმპტომი (როგორც სასწავლო წლის დაწყებამდე 12 დღის განმავლობაში, ასევე, სასწავლო წლის მიმდინარეობისას, შინ ყოფნის, ტრანსპორტში ასვლის, სკოლის ტერიტორიაზე შესვლის, სკოლაში ყოფნის განმავლობაში ან ნებისმიერ სხვა სიტუაციაში), სკოლაში დაიშვებიან მხოლოდ პჯრ-ტესტირების დასკვნის საფუძველზე, რომელიც წარდგენილ უნდა იქნას სკოლის ადმინისტრაციაში(COVID-19-ით ინფიცირების არ არსებობის შემთხვევაში).
- ყოველ დილით, სახლიდან გამოსვლამდე/სკოლის ტრანსპორტთან ან სკოლის ტერიტორიაზე მისვლამდე, ნებისმიერი თანამშრომელი ვალდებულია გაიზომოს ტემპერატურა და შინიდან გამოვიდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ტემპერატურა შეადგენს 36.9-ს ან ნაკლებს. იმ შემთხვევაში, თუ ტემპერატურა ფიქსირდება 37.0 ან მეტი, თანამშრომელი ვალდებულია დარჩეს შინ, აღნიშნულის შესახებ შეატყობინოს უშუალო ხელმძღვანელს, 15 წუთის შემდეგ გადაამოწმოს ტემპერატურა და თუ კვლავ დაუფიქსირდა 37.0 ან მეტი, მიიღოს შესაბამისი ზომები და მიმართოს ექიმს დაუყოვნებლივ;
- ყოველ დილით, სახლიდან გამოსვლამდე/სკოლის ტრანსპორტთან ან სკოლის ტერიტორიაზე მისვლამდე, ნებისმიერი მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი ვალდებულია მოსწავლეს გაუზომოს ტემპერატურა და შინიდან გამოუშვას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი ტემპერატურა შეადგენს 36.9-ს ან ნაკლებს. იმ შემთხვევაში, თუ ტემპერატურა ფიქსირდება 37.0 ან მეტი, მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი ვალდებულია მოსწავლე

## შპს ელიტური სკოლა „გორდა“

დატოვოს შინ, აღნიშნულის შესახებ შეატყობინოს სკოლის ადმინისტრაციას ცხელი ხაზის საშუალებით (422 27 84 97), 15 წუთის შემდეგ გადაამოწმოს ტემპერატურა და თუ კვლავ დაუფიქსირდა 37.0 ან მეტი, მიიღოს შესაბამისი ზომები და მიმართოს ექიმს;

### სკოლის ტრანსპორტი

- სკოლის ტრანსპორტში ამ გაიდლაინის აღსრულებაზე პასუხისმგებელ პირებად ინიშნებიან სკოლიდან დამოუკიდებლად, მშობლების მიერ დაქირავებული მიკროავტობუსის მძღოლები, რომლებიც საკუთარი ფუნქციების შესრულებისას (სკოლის მიკროავტობუსში ყოფნისას) აღჭურვილია პირბადით და თერმოსკრინინგის პროცესში იცავენ 1 მეტრიან დისტანციას ნებისმიერ სხვა პირთან; მძღოლი, თავის მხრივ, სამუშაოს დაწყებამდე ყოველ დღე იზომავს ტემპერატურას და ყოველდღიურად აღრიცხავს მას, 37.0 და მეტის დაფიქსირების შემთხვევაში, იგი არ ასრულებს სამსახურეობრივ მოვალეობას, ატყობინებს მოსწავლეთა მშობლებს და მას ანაცვლებს სათანადო მძღოლი (თუ ამის საშუალებაა), ან მშობლებს თავად მოჰყავთ მოსწავლეები სკოლაში, ამასთან, მძღოლი ვალდებულია მიმართოს ექიმს.
- სკოლის ყველა მოსწავლე/თანამშრომელი ტრანსპორტში დაიშვება მხოლოდ სამედიცინო ნიღბით (პირბადით), როგორც ამოსვლის, ისე მგზავრობის პროცესში. ყველა მოსწავლე/თანამშრომელი ვალდებულია სამედიცინო ნიღაბი ატაროს საერთო წესის შესაბამისად, რომლის შესახებ მანიშნებლები და შემახსენებლები განთავსებულია სკოლის ტრანსპორტშიც. სამედიცინო ნიღბის მოხსნა დასაშვებია მხოლოდ ტრანსპორტიდან ჩამოსვლის შემდეგ;
- ერთ გაჩერებაზე ერთზე მეტი პირის ასვლის შემთხვევაში, ასვლისას, მათ შორის დაცული უნდა იყოს მინიმუმ 1 მეტრის დისტანცია;
- მოსწავლის/თანამშრომლის ავტობუსში ასვლისას მძღოლი, ახორციელებს თერმოსკრინინგს, აკონტროლებს ამსვლელთა ხელების დამუშავებას შესაბამისი სითხით და უზრუნველყოფენ ხშირად შეხებადი ადგილების (ძირითადად, სახელურების) ინტენსიურ გაწმენა/დეზინფექცირებას;
- სკოლის მიკროავტობუსში ასვლა დასაშვებია მხოლოდ იმ პირებისთვის, რომელთაც ტემპერატურა უფიქსირდებათ 36.9 ან ნაკლები.

## შპს ელიტური სკოლა „გორდა“

- 37.0 და მეტის დაფიქსირების შემთხვევაში: ა. მოსწავლე არ დაიშვება ტრანსპორტში, რის შესახებაც მძღოლი დაუყოვნებლივ ატყობინებს მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს ან საგანგებო საკონტაქტო პირს, რომელიც მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს მითითებული ჰყავს სკოლის საინფორმაციო ბაზაში. იმ შემთხვევაში, თუ მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი 15 წუთიან შუალედში გადაამოწმებს მოსწავლის ტემპერატურას და მას დაუფიქსირდება 36.9 ან ნაკლები, მშობელს შეუძლია მოიყვანოს მოსწავლე სკოლაში;
- ავტობუსებში მძღოლის მიერ მარშრუტებისა და მგზავრთა ასვლა-ჩასვლის გათვალისწინებით, განსაზღვრულია მუდმივი ადგილი თითოეული მოსწავლისათვის. შესაბამისად, ყველა მოსწავლე, რომელიც სარგებლობს ტრანსპორტით, ერთი და იმავე ადგილს იკავებს მთელი სემესტრის განმავლობაში (გარდა იმ შემთხვევისა, თუ მშობელი ან მისგან პასუხისმგებელი პირი გადაწყვეტს სხვაგვარად).

### სკოლაში შესვლა

- მოსწავლეების, თანამშრომლების ან სხვა ვიზიტორების შესვლა სკოლის ტერიტორიაზე, გარდა სკოლის ავტობუსით მოსარგებლე პირებისა, შესაძლებელია სპეციალური შესასვლელიდან, რომელსაც მუდმივად მონიტორინგს უწევს უსაფრთხოების შესაბამისი თანამშრომელი, რომელიც ყველა შემომსვლელს უტარებს თერმოსკრინინგს და აწარმოებს აღრიცხვას შესაბამისი წესის დაცვით. უსაფრთხოების წევრი აღჭურვილია პირბადით და იცავს 1 მეტრიან დისტანციას;
- 37.0 და მეტის დაფიქსირების შემთხვევაში, სკოლის ტერიტორიაზე შემომსვლელი პირი გადავა სპეციალურად მოწყობილ მოსაცდელში(დაყოვნების ოთახში) და მისი ტემპერატურა 15 წუთში გადამოწმდება ვერცხლისწყლის თერმომეტრით. თუ მოსწავლეს, ან თანამშრომელს განმეორებითი გაზომვისას დაუდასტურდა ტემპერატურა 37.0 ან მეტი, ის ტერიტორიაზე არ დაიშვება. მოსწავლის შემთხვევაში, თერმოსკრინინგზე პასუხისმგებელი პირი დაუყოვნებლივ ატყობინებს ადმინისტრაციას, რომელიც უკავშირდება მშობელს/კანონიერ

## შპს ელიტური სკოლა „გორდა“

- წარმომადგენელს და ატყობინებს სიმპტომის შესახებ. დაფიქსირებული ცხელება აღირიცხება შესაბამის ბაზაში;
- მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი პასუხისმგებელია დაუყოვნებლივ უზრუნველყოს მოსწავლის გაყვანა სკოლის ტერიტორიიდან და მიმართოს ოჯახის ექიმს, ცხელების ცენტრს ან 112-ს. მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის გონივრულ ვადაში სკოლაში გამოუცხადებლობის შემთხვევაში, სკოლა უკავშირდება 112-ს შესაბამისი სამედიცინო სერვისის მისაღებად, გადამისამართების მიზნით;
  - სკოლის შენობაში შესვლისას კონკრეტული კლასების/საფეხურების მოსწავლეები და თანამშრომლები მუდმივად სარგებლობენ წინასწარ დადგენილი, ერთი და იმავე შესასვლელით. სკოლის მთავარი შენობის სამივე შესასვლელზე მოსწავლეთა და თანამშრომელთა რაოდენობა თანაბრადაა გადანაწილებული, რათა თავიდან იქნას აცილებული რიგები;
  - სკოლაში შესვლისას ნებისმიერი რიგის წარმოქმნის შემთხვევაში, მოსწავლეები და თანამშრომლები იკავენ მინიმუმ 1 მეტრიან დისტანციას, რის შესახებაც ყველა შესაბამის ადგილას გაკეთებულია მანიშნებლები და შემახსენებლები. პროცესს ასევე ზედამხედველობას უწევს სკოლის შესაბამისი თანამშრომლები;
  - სკოლაში შესვლის პროცესში ყველა თანამშრომელს უკეთია პირბადე;
  - სკოლაში შესვლისას ყველა პირი ვალდებულია, გაიაროს დეზობარიერი;
  - სკოლაში შემოსვლისთანავე, წინა პუნქტით განსაზღვრული ყველა მოსწავლე შეუფერხებლად მიემართება საკუთარი საკლასო ოთახისაკენ;
  - საკლასო ოთახში შესვლამდე ხელის დეზინფექციას იტარებს ყველა პირი შემოსასვლელელებსა და დერეფნებში განთავსებული სითხეებით, ან იყენებს სველ წერტილებს ხელების დასაბანად;
  - სკოლაში მოსწავლის, მასწავლებლის, თანამშრომლის გამოუცხადებლობის შემთხვევაში ადმინისტრაცია ადგენს გაცდენის მიზეზს (წინასწარი შეუტყობინებლობის შემთხვევაში) და აფიქსირებს მას სკოლის შესაბამის ბაზაში.
  - სკოლაში შესვლა და სკოლის ტერიტორიაზე პირბადის გარეშე გადაადგილება დაუშვებელია.

### სკოლაში გადაადგილება

- სკოლის ტერიტორიაზე გადაადგილებისას, ნებისიერი რიგის წარმოქმნის, ან რამდენიმე პირის ახლოს ყოფნის შემთხვევაში, დაცული უნდა იყოს არანაკლებ 1 მეტრის დისტანცია;
- სასწავლო პროცესის პერიოდში (9:00-დან 17:00-მდე) სკოლის ტერიტორიაზე შეზღუდულია ნებისიერი პირის დაშვება, რომელიც არ არის მოსწავლე ან თანამშრომელი, უკიდურესი აუცილებლობის გარდა. მშობლის, ან სხვა პირის შემოსვლა სკოლის ტერიტორიაზე დაშვებულია მხოლოდ გადაუდებელი აუცილებლობისას, როცა კონკრეტული საკითხი/საჭიროება მოითხოვს არადისტანციური ფორმის კომუნიკაციას (პირად შეხვედრას). ასეთ შემთხვევაში, ტერიტორიაზე შემსვლელი პირი ავსებს სპეციალურ კითხვარს და სრულად ავსებს საკუთარ მონაცემებს. სხვა ნებისიერ შემთხვევაში, მშობელი, ან სხვა პირი სკოლის ტერიტორიაზე დაიშვება არასასწავლო პერიოდში, შესაბამისი წესების დაცვით;
- სასწავლო დღის განმავლობაში ჰიგიენური ნორმების უზრუნველყოფის მიზნით სკოლის მოსწავლეების მიერ სველი წერტილების რეგულირებულ გამოყენებას უზრუნველყოფენ სკოლის ადმინისტრაცია და მასწავლებლები. სველი წერტილებით სარგებლობისას დაცული უნდა იყოს ფიზიკური დისტანცია, არანაკლებ, 1 მეტრის მანძილით. სველი წერტილებით სარგებლობისას, პასუხისმგებელი პირი (მასწავლებელი, დამრიგებელი, ადმინისტრაციის სხვა თანამშრომელი) შესაძლებლობის ფარგლებში, უზრუნველყოფს ერთდროულად, ერთი კლასტერის წარმომადგენლების შეშვებას;
- სკოლის მთელ ტერიტორიაზე ნებისიერი გადაადგილებისას, თანამშრომლები და სხვა პირები (გარდა მოსწავლისა) იყენებენ პირბადეს;
- სხვადასხვა სივრცეში შესვლისას, შესაბამისი მანიშნებლის არსებობის შემთხვევაში, ყველა მოსწავლე და თანამშრომელი გადის დეზობარიერს და ახდენს ხელების დეზინფექცირებას სპეციალურად განთავსებული სითხით.

### სასწავლო პროცესის ორგანიზების პრინციპები



## შპს ელიტური სკოლა „გორდა“

- კოვიდ-19-ის გავრცელების მაქსიმალური პრევენციისა და ეფექტური ეპიდემიოლოგიური მიკვლევადობის უზრუნველყოფის მიზნით, 2021-2022 სასწავლო წლისათვის სკოლა გადადის „მცირე დაცული კლასტერების“ (ე.წ. “Protective Bubbles”) პრინციპზე. იცვლება მოსწავლეთა სკოლაში შემოსვლის წესი. სკოლის მოსწავლეები სკოლაში შემოვლენ სათადარიგო შემოსასვლელიდან 3 რიგად, შესაბამისად, თითოეულ რიგში გამოიყენება თითო თერმოსკრინინგის აპარატი და თითო წუთში გატარდება მინიმუმ 4-5 მოსწავლე.
- ასევე, 2021-2022 სასწავლო წლის განმავლობაში, სპორტის გაკვეთილი ცალ-ცალკე ჩატარდება თითოეულ კლასს (მაქსიმუმ 20 მოსწავლეს) სკოლაში არსებულ ერთ დიდ, ორ მინი დარბაზსა და ღია სპორტულ მოედანზე, ამასთან, სკოლაში ყველა საკლასო ოთახში არსებული სმარტეკრანები იძლევა სპორტულ თემაზე არსებული ელექტრონული რესურსების გამოყენების შესაძლებლობას.
- აღნიშნული სისტემა უზრუნველყოფს ოპერატიული მიკვლევადობის შესაძლებლობას და კორონავირუსული ინფექციის გავრცელების მაქსიმალურ პრევენციას. ამასთან, კოვიდ-19-ის სიმპტომების, შესაძლო ან დადასტურებული შემთხვევებისას, სკოლის ადმინისტრაციას, შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების მითითებით, შესაძლებლობა ექნება თვითიზოლაციის ან კარანტინის ზომას მიმართოს შეძლებისდაგვარად მცირე ჯგუფთან, და არა საფეხურთან ან მთელ სკოლასთან, თუ ეს შესაძლებლად მიიჩნევა შესაბამისი ეპიდემიოლოგიური წესებისა და კვლევის მიხედვით.

### წესები საკლასო ოთახში

- ყველა მოსწავლე წინასწარ განსაზღვრულ, ერთსა და იმავე მერხთან ზის მთელი წლის განმავლობაში;
- საკლასო ოთახში შესვლისას, ყველა მოსწავლე და მასწავლებელი ახდენს ხელების დეზინფექციას;
- საკლასო ოთახში შესვლის და გადაადგილებისას, სკოლის მასწავლებელი/ნებისმიერი თანამშრომელი ატარებს პირბადეს.
- მერხები ყველა საკლასო ოთახში განლაგებულია ისე, რომ:

## შპს ელიტური სკოლა „გორდა“

- მოსწავლეები არ ისხდნენ ერთმანეთის პირისპირ და მათ შორის დაცული იყოს დისტანცია არანაკლებ 1 მეტრისა, ან მოსწავლეები ისხდნენ ერთმანეთის პირისპირ, და მათ შორის დაცული იყოს დისტანცია არანაკლებ 2 მეტრისა.
- ყველა მოსწავლეს/თანამშრომელს აქვს მხოლოდ პერსონალური ნივთები. დაუშვებელია ნივთების გაცვლა და/ან საერთო მოხმარების ინვენტარის გამოყენება. იმ შემთხვევაში, თუ ნივთის/ინვენტარის გამოყენება ერთზე მეტი პირის მიერ გარდაუვალია, სკოლის თანამშრომლები/მოსწავლეები იყენებენ მოცემული საგნისა და/ან ხელების დეზინფექცირების შესაბამის ზომებს. სასწავლო რესურსები და ნივთები, რომელთა დეზინფექცირება ან გასუფთავება ძნელია, ამოღებულია ხმარებიდან, მაგალითად, ქსოვილისგან დამზადებული თვალსაჩინოებები; რუქები და სხვ.
- საგნობრივი პროგრამები შედგენილია ისე, რომ ჯგუფური აქტივობები, რომლებიც ფიზიკურ სიახლოვეს გულისხმობს, მინიმუმამდე შემცირდეს, ან გაუქმდეს;
- საკლასო სივრცის დატოვება შესაძლებელია მხოლოდ წინასწარ შედგენილი გრაფიკის მიხედვით ან მოცემულ პერიოდში კლასზე პასუხისმგებელი პირის (მასწავლებელი, ადმინისტრაციის წარმომადგენელი) ნებართვით / მითითებით;
- საკლასო ოთახში კლასზე პასუხისმგებელი პირი (დამრიგებელი) ვალდებულია უზრუნველყოს სივრცის ბუნებრივი განიავება მინიმუმ ყოველი საგაკვეთილო საათის დასრულების შემდეგ. განიავება ხორციელდება მთელი დასვენების განმავლობაში;
- საკლასო სივრცეებში დაიშვებიან მხოლოდ ის პირები, რომლებიც კონკრეტულ პერიოდში, კონკრეტულ კლასზე არიან პასუხისმგებლები (ატარებენ გაკვეთილს ან ახორციელებენ მეთვალყურეობას), ან სპეციალურად სკოლის ადმინისტრაციის მიერ არიან მივლენილი.

### აკადემიური პროცესი

- 2021-2022 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა შედგენილია COVID-19-ით გამოწვეული გამოწვევებისა და საჭიროებების, ასევე, ვირუსის

## შპს ელიტური სკოლა „გორდა“

გავრცელების პრევენციისა და რეაგირების პრინციპების გათვალისწინებით და დოკუმენტის - დანართი N 37- „ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული ზოგადი რეკომენდაციები ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის“ გათვალისწინებით;

- 2021-2022 სასწავლო წლის განმავლობაში სასწავლო დღის განრიგი შედგენილია დროის საერთო ორიენტირებისათვის. კონკრეტული კლასებისა და საფეხურებისათვის შედგება ინდივიდუალური მოქნილი განრიგი, რომელიც უზრუნველყოფს საერთო სივრცეებში (დერეფანში, სპორტულ მოედანზე, გარე პერიმეტრზე და ა.შ.) მოსწავლეთა შემღებისდაგვარად მცირე რაოდენობის გადაადგილებას;
- პედაგოგიური გუნდი და საგნობრივი კათედრები მთელი სასწავლო წლის განმავლობაში ორიენტირებული იქნებიან ბეჭდური მასალების ნაცვლად ელექტრონული რესურსებისა და დავალებების გამოყენებაზე. ბეჭდური რესურსის ან დავალების გამოყენების აუცილებლობის შემთხვევაში, შესაბამისი მასწავლებელი/თანამშრომელი/მოსწავლე განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ფიზიკური დისტანციის, ჰიგიენისა და ინვენტარის დეზინფექცირების სტანდარტებს;
- სკოლა, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლის სწავლის შემთხვევაში ინდივიდუალური სასწავლო გეგმების საგანგებო მოდიფიცირებას ახდენს ამ პროტოკოლისა და დოკუმენტის - დანართი N 37 „ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული ზოგადი რეკომენდაციები ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის“ გათვალისწინებით;
- მოსწავლეთა აღრიცხვა, ისევე, როგორც შეფასებების დაფიქსირება ხორციელდება მხოლოდ ელექტრონული ფორმით.
- სასწავლო პროცესის განმავლობაში მასწავლებლები და მოსწავლეები უპირატესობას ანიჭებენ ელექტრონული სასწავლო რესურსების გამოყენებას (სკოლის ელექტრონული ბიბლიოთეკის “OpenBiblio“-ს შესაძლებლობებს). საბიბლიოთეკო რესურსების აუცილებლობის შემთხვევაში, სკოლის ბიბლიოთეკის ფუნქციონირება განხორციელდება „სამუშაო ადგილებზე

## შპს ელიტური სკოლა „გორდა“

ახალი კორონა ვირუსის (COVID- 19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით რეკომენდაციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 29 მაისის №01-227/ო ბრძანების შესაბამისად(დანართი N 36), რომლის თანახმად:

- საბიბლიოთეკო დოკუმენტები (წიგნები, ჟურნალები, გაზეთები, ნოტები და ა.შ) გაცემამდე ითვლება ე.წ. „პირობითად სუფთა წიგნებად“.
- დოკუმენტები, რომლებიც მომხმარებლებისგან/მკითხველებისგან ბრუნდება ითვლება „პირობითად ინფიცირებულ წიგნებად“.
- გამოყენებული, მომხმარებლისგან/მკითხველისგან დაბრუნებული დოკუმენტები განათავსდება კარანტინში 3-5 დღის განმავლობაში, რომლისთვისაც გამოიყენება სპეციალური მაგიდები ან თაროები.

### სპორტის გაკვეთილები

- 2021-2022 სასწავლო წლისათვის სკოლის სპორტის საგნობრივი პროგრამა ადაპტირებულია ამ გაიდლაინის მიხედვით და ეფუძნება დოკუმენტს - დანართი 37: ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული ზოგადი რეკომენდაციები ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის“; სპორტის გაკვეთილების პრაქტიკული ნაწილი (ფიზიკური აღზრდის აქტივობები) ყველა კლასისათვის ჩატარდება მხოლოდ გარე სივრცეში, სკოლის სპორტულ მოედანზე. ამ პერიოდისათვის მოსწავლეები სკოლის დახურულ სპორტულ დარბაზში დაიშვებიან მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში, შესაბამისი სახელმწიფო რეგულაციების დაცვითა და დირექტორის ნებართვით;
- უამინდობის გამო ან შესაბამისი საგნობრივი პროგრამის მიზნებისათვის, სპორტული თემატიკის მქონე აქტივობა (თეორიული სწავლება) შესაძლებელია ჩატარდეს საკლასო ოთახში, ელექტრონული რესურსების გამოყენებითა და მოსწავლეთა აქტიური მონაწილეობით;

იმ დღეებში, როდესაც მოსწავლეს ცხრილით განსაზღვრული აქვს სპორტი, მას შეუძლია სკოლაში დილიდანვე გამოცხადდეს სპორტული ფორმის ელემენტით

## შპს ელიტური სკოლა „გორდა“

(მაგ.სპორტული ფეხსაცმელი)ისე, რომ გამოსაცვლელი ოთახის აუცილებლობა თავიდან იქნას აცილებული.

- 2021-2022 სასწავლო წლისათვის გამოსაცვლელი ოთახები/გასახდელები დახურული იქნება;
- სპორტის გაკვეთილებზე ჩატარდება მხოლოდ ისეთი აქტივობები, რომლებიც შესაძლებელს ხდის მოსწავლეთა შორის 2 მეტრიანი ფიზიკური დისტანციისა და ჰიგიენური ნორმების მაქსიმალურ დაცვას და არ ითვალისწინებს ისეთი საერთო ინვენტარით სარგებლობას, რომლებთანაც მოსწავლეებს ან პედაგოგებს შესაძლებელია ხელით შეხება ჰქონდეთ ინტენსიურად;
- სპორტული აქტივობები განხორციელდება ერთი კლასის მასშტაბით. ერთზე მეტი კლასის მონაწილეობით. დასაშვებია ისეთი სპორტული აქტივობა, რომელიც სრულიად გამორიცხავს ნებისმიერი სახის ფიზიკურ კონტაქტს, ან სიახლოვეს 2 მეტრის რადიუსის ფარგლებში. ასეთი აქტივობა დაიშვება მხოლოდ დირექტორის საგანგებო ნებართვით, სახელმწიფო რეგულაციების შესაბამისად.

### არაფორმალური განათლება

- 2021-2022 სასწავლო წლისათვის სკოლის არაფორმალური განათლების პროგრამა ადაპტირდება სტატიკური კლასების მოდელზე. შესაბამისად, კლასგარეშე აქტივობები განხორციელდება მხოლოდ კლასების მასშტაბით ან დისტანციურ რეჟიმში, სადაც ეს შესაძლებელია;
- დავალებების შესრულების პერიოდს მოსწავლეები ატარებენ იმავე სივრცეში, რომელშიც აქვთ გაკვეთილები სასწავლო დღის განმავლობაში;
- არაფორმალური განათლების აქტივობისათვის განკუთვნილ პერიოდს, შეძლებისდაგვარად ხშირად, მოსწავლეები ატარებენ სკოლის გარე სივრცეში (ეზოში, მოედანზე, ა.შ.)

### სამუშაო შეხვედრები და მშობლებთან შეხვედრის დღეები

- სკოლის შინაგანაწესით ან სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული შიდა სამუშაო შეხვედრები (საგნობრივი კათედრების სხდომები,

## შპს ელიტური სკოლა „გორდა“

პედაგოგიური/აკადემიური საბჭოს სხდომები, ა.შ.), ასევე, არაფორმალური შეხვედრები და მშობლებთან შეხვედრის დღეები, რომლებიც ითვალისწინებს სხვადასხვა „დაცული კლასტერის“ (Bubble) წევრთა კომუნიკაციას ან „შერევას“, ჩატარდება დისტანციური (ონლაინ) ფორმით;

- გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, შიდა სამუშაო შეხვედრები შესაძლებელია ჩატარდეს სკოლის ტერიტორიაზე, თუ დამსწრეთა შორის დაცული იქნება ფიზიკური დისტანცია, არანაკლებ 1 მეტრის რადიუსით;

### **კორონავირუსზე სავარაუდო სიმპტომების მქონე და დაინფიცირებულ პირთა მონიტორინგი:**

- სკოლის ტერიტორიაზე, დამოუკიდებელი შესასვლელი სივრცით (სკოლის გასახედელში), გამოიყოფა სპეციალური საიზოლაციო ოთახი, რომელიც გამოიყენება საკარანტინე ზონად და აღიჭურვება ყველა საჭირო ინდივიდუალური დაცვის საშუალებითა და სადეზინფექციო ხსნარებით. მას აქვს ოპტიმალური ბუნებრივი ვენტილაცია, აღჭურვილია დასაჯდომი/მოსასვენებელი (სკამი/სავარძელი/ტახტი) ხელის ჰიგიენის საშუალებებით და ხელის სანიტაიზერით;
- ყოველი გამოყენების შემთხვევაში საიზოლაციო ოთახი მუშავდება სველი წესით;
- თუ სკოლის რომელიმე მოსწავლეს, ან თანამშრომელს სასწავლო დღის განმავლობაში გამოუვლინდება კორონავირუსისთვის დამახასიათებელი სავარაუდო სიმპტომი, სკოლის ადმინისტრაციას ის გადაჰყავს საიზოლაციო ოთახში, სხვა პირებთან კონტაქტის შესამცირებლად;
- თუ ასეთი სიმპტომების მქონე პირი სკოლის თანამშრომელია, ის დაუყოვნებლივ ტოვებს სკოლის ტერიტორიას და მიმართავს ოჯახის ექიმს, ცხელების ცენტრს ან 112-ს შესაბამისი სამედიცინო მომსახურების მისაღებად;
- თუ ასეთი სიმპტომების მქონე პირი სკოლის მოსწავლეა, სკოლის ადმინისტრაცია დაუყოვნებლივ უკავშირდება მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს, რომელიც უმოკლეს გონივრულ ვადაში უზრუნველყოფს მის გაყვანას სკოლის ტერიტორიიდან და ვიზიტს ოჯახის ექიმთან, ან

## შპს ელიტური სკოლა „გორდა“

ცხელების ცენტრში, ან 112-თან დაკავშირებას, შესაბამისი სამედიცინო მომსახურების მისაღებად. მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის გონივრულ ვადაში სკოლაში გამოუცხადებლობის შემთხვევაში, სკოლა უკავშირდება 112-ს შესაბამისი სამედიცინო სერვისის მისაღებად, გადამისამართების მიზნით;

- სკოლაში ცხელების, რესპირატორული სიმპტომების დაფიქსირების ყველა შემთხვევის შემდგომ მოსწავლეების, მასწავლებლებისა და თანამშრომლების სასწავლო დაწესებულებაში დაშვება ხდება მხოლოდ პჯრ-ტესტირების დასკვნის საფუძველზე (COVID-19 -ით ინფიცირების არ არსებობის შემთხვევაში)
- იმ შემთხვევაში, თუ სკოლის რომელიმე თანამშრომელს მოუწევს სავარაუდო სიმპტომის მქონე პირთან კონტაქტი (მაგ.: საკვების მიწოდება, დალაგება), დაცული იქნება სათანადო დისტანცია და გამოყენებული იქნება სპეციალური დამცავი აღჭურვილობა;
- იმ სიტუაციებისთვის, როდესაც სავარაუდო სიმპტომის მქონე პირი ტოვებს სკოლას, მოქმედებს განსაკუთრებული დასუფთავების და დეზინფექციის გეგმა. ეს გულისხმობს იმ სივრცის/სივრცეების სრულ დეზინფექციას და საფუძვლიან განიავებას, რომელშიც იმყოფებოდა სიმპტომების მქონე პირი. აღნიშნულ სივრცეებში შესაბამისი სასკოლო პროცესი გრძელდება მხოლოდ აქ აღწერილი ზომების მიღების შემდეგ;

### **სკოლის დასუფთავებისა და დეზინფექციების წესები და ჰიგიენის დაცვის პრინციპები**

- სკოლის ყველა შესასვლელში განთავსებულია დეზობარიერები, რომელთა განახლება შესაბამისი წესების დაცვით ხდება საჭიროებისამებრ;
- ხელის დეზინფექციისათვის გამოიყენება არანაკლებ 70%-იანი ალკოჰოლის შემცველი ანტისეპტიკური საშუალებები, რომელთა დისპენსერები განთავსებულია სკოლის შესასვლელებში, საერთო სარგებლობის სივრცეებთან (საიზოლაციო ოთახი, ბიბლიოთეკა, სპორტული დარბაზი, სამასწავლებლო, სასადილო, დერეფნები და სხვ.), თითოეულ სართულზე არანაკლებ 2 ცალი (დერეფნის შესასვლელებში). სანიტაიზერის დამაგრება არ

## შპს ელიტური სკოლა „გორდა“

ხდება სანიტარიულ კვანძთან/საპირფარეშოსთან, რადგან ამ შემთხვევაში დაბანა წყლითა და საპნით უპირატესია;

- განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ხშირად შეხებადი ზედაპირების დასუფთავებას, (მაგალითად, კარის სახელოურები, მოაჯირი, ლიფტის ციფერბლატი და სხვა) და ხშირად დაბინძურებადი სივრცეების (შემოსასვლელი, საპირფარეშო) ზედაპირების დასუფთავებასა და აუცილებელი წესით დეზინფექციას;
- ყოველი სასწავლო დღის შემდგომ საერთო გამოყენების სივრცის სველი წესით ლაგდება/სანიტარიული წესით მუშავდება „წყალი, სანიტარია და ჰიგიენა სკოლაში - საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული რეკომენდაციის (გაიდლაინის) დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 6 თებერვლის №01-40/ო ბრძანებით დამტკიცებული საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული რეკომენდაციის „წყალი, სანიტარია და ჰიგიენა სკოლაში“ შესაბამისად დანართი №37.2-ით განსაზღვრული სარეკომენდაციო აღჭურვილობის გამოყენებით;
- სკოლის სანიტარიულ კვანძში სისუფთავის დაცვა უზრუნველყოფილია საერთო დადგენილი წესების შესაბამისად. ამისთვის, სკოლის ადმინისტრაცია წინასწარ განსაზღვრავს საპირფარეშოების დასუფთავების წესს, პერიოდულობას (არანაკლებ 2 საათში ერთხელ), დასუფთავებისთვის განკუთვნილი ინვენტარისა და გამოყენებული ჰიგიენური საშუალებების ნუსხას;
- სანიტარიული კვანძის დეზინფექციისთვის გამოიყენება მხოლოდ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის“ მიერ რეგისტრირებული საშუალებები (<https://www.ncdc.ge/Pages/User/News.aspx?ID=f70ca25e-e850-4deb-9d7d-8b058b934d2d>);



## შპს ელიტური სკოლა „გორდა“

- ნებისმიერი ზედაპირი, რომელიც დაბინძურდა შესაძლო დაინფიცირებული პირის/პირების რესპირატორული სეკრეციის ან სხვა ორგანული სითხეების მოხვედრით, მაგ: ტუალეტი, ხელსაბანი ნიჟარა და აბაზანა - იწმინდება რეგულარული საყოფაცხოვრებო სადეზინფექციო ხსნარით, რომელიც მოიცავს ნატრიუმის ჰიპოქლორიტის 0.1%-ს;
- ზედაპირები ქლორით დამუშავებიდან 10 წუთის შემდგომ ირეცხება სუფთა წყლით;
- მათეთრებელი საშუალება არ გამოყენება ისეთ ნივთებზე, როგორებიცაა: ტელეფონი, დისტანციური მართვის პულტი, კარის სახელური და ა. შ. აღნიშნულის დასამუშავებლად გამოიყენება 70%-იანი სპირტის შემცველი ხსნარი;
- არაფოროვან საწმენდ მასალებს უკეთდება დეზინფექცია 0.5% ნატრიუმ ჰიპოქლორიტის ხსნარით ან სხვა ქლორის შემცველი ხსნარით, კანონმდებლობის შესაბამისად;
- სანიტარიული კვანძის მოპირკეთებული ზედაპირების, უნიტაზების, ხელსაბანი ნიჟარების რეცხვა და დეზინფიცირება ხორციელდება დაბინძურების შესაბამისად, მაგრამ არანაკლებ დღეში 2-ჯერ;
- დაუშვებელია მშრალი დაგვა და მტვრის გადაწმენდა, რათა თავიდან ავიცილოთ მტვრისა და მიკროორგანიზმების მოხვედრა ჰაერში და სუფთა ზედაპირებზე;
- საწმენდი და სადეზინფექციო ინვენტარი გამოყენების შემდეგ ირეცხება და შრება;

სკოლის დიასახლისები/დამლაგებლები აღჭურვილი არიან ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით:

- ერთჯერადი სამედიცინო ნიღაბი;
- სპეც-ფორმა დაზემოდანერთჯერადი ხალათი, სრული სახელოებით/წყალგაუმტარი წინსაფარი (რომელიც ყოველი გამოყენების შემდეგ დაექვემდებარება რეცხვასა და დეზინფიცირებას);
- სპეციალური/სქელი ხელთათმანი (მრავალჯერადი);
- თვალის დამცავი (სათვალე ან სახის ფარი);
- დახურული სპეცფეხსაცმელი.

## შპს ელიტური სკოლა „გორდა“

დასუფთავების დროს თავიდან უნდა იქნას აცილებული შხეფებისა და აეროზოლების წარმოქმნა;

დასუფთავების პროცედურების ჩატარების დასრულებისთანავე, ხელთათმანების გახდის შემდეგ, დიასახლისი იბანს ხელებს;

სანიტარიული კვანძის დასუფთავებისათვის გამოსაყენებელი საყოფაცხოვრებო ქიმიური და სადეზინფექციო საშუალებები ინახება სპეციალურად ამ მიზნისათვის განკუთვნილ, ჩაკეტილ სათავსში/კარადაში, პირვანდელი/მწარმოებლის შეფუთვით, რათა შესაძლებელი იყოს დიფერენცირება მარკირების მიხედვით და არ იყოს ხელმისაწვდომი სკოლაში მყოფი სხვა პირებისთვის;

დასუფთავებისთვის გამოსაყენებელი საყოფაცხოვრებო ქიმიური და სადეზინფექციო საშუალებებისთვის განკუთვნილი საცავი ექვემდებარება ვენტილაციას;

დასუფთავებისათვის გამოსაყენებელი საყოფაცხოვრებო ქიმიური და სადეზინფექციო საშუალებების, თხევადი საპონის, ერთჯერადი ხელსახოცების, სამედიცინო ნიღბების (პირბადეების) და ამ გაიდლაინით გათვალისწინებული ნორმების დაცვისათვის საჭირო ინვენტარის მომარაგებასა და დაცვაზე, ასევე ტექნიკური პერსონალის მიერ დასუფთავებისა და დეზინფექცირების ღონისძიებების აღრიცხვაზე პასუხისმგებელია სკოლის მომარაგების მენეჯერი.

### კვების წესი სკოლაში

- სკოლის სასადილოს ფუნქციონირება ხორციელდება „სამუშაო ადგილებზე ახალი კორონა ვირუსის (COVID- 19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით რეკომენდაციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 29 მაისის №01-227/ო ბრძანების №17 დანართის „ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული ზოგადი რეკომენდაციები საზოგადოებრივი კვების ობიექტებისთვის“ შესაბამისად;

## შპს ელიტური სკოლა „გორდა“

- 2021-2022 სასწავლო წლისათვის სკოლაში კვების განრიგი მოდიფიცირდება ისე, რომ სასადილოს დარბაზში ერთდროულად თავი მოიყაროს მოსწავლეთა დასაშვებმა რაოდენობამ;

სასადილო დარბაზში უზრუნველყოფილია მაგიდების და დასაჯდომი ადგილების განლაგება შემდეგი მოთხოვნების გათვალისწინებით:

- მაგიდებს შორის დაცული იქნება უსაფრთხო მანძილი, არანაკლებ 2 მეტრისა;
- საჭიროებისამებრ ეწყობა დამცავი ბარიერები მაგიდებს შორის, რომელთა გამოყენება ხდება საერთო სასადილო ფართის არაუმეტეს 50%-ში (ამ შემთხვევაში, 1 ადამიანის განთავსების ფართობია არანაკლებ 1,8 მ<sup>2</sup>);
- ერთ მაგიდასთან განთავსებულ მომხმარებლებს შორის უზრუნველყოფილი იქნება არანაკლებ 1-მეტრიანი დისტანცია;
- ერთი ადამიანის განთავსებისთვის საჭირო ფართობი შეადგენს არანაკლებ 2.25 კვ.მ-ს;
- ერთ მაგიდასთან განთავსდება არა უმეტეს 6 პირი;
- სასადილოში ყველა მოსწავლე განთავსდება მუდმივად ერთი და იმავე მაგიდასთან. ერთ მაგიდასთან სხდებიან მოსწავლეები მხოლოდ ერთი და იმავე „დაცული კლასტერიდან“/კლასიდან;
- სასადილო სივრცეები უზრუნველყოფილია ბუნებრივი ვენტილაციით. ალტერნატივად გამოიყენება ხელოვნური ვენტილაცია გარედან შემოსული ჰაერის მომატებული კონცენტრაციით, ცირკულაციითა და გარეთ გატანით, საინჟინრო კონტროლს მის გამართულ მუშაობაზე ახორციელებს მეიჯარე;

სამზარეულოს ჭურჭლის რეცხვა და შრობა ხორციელდება სპეციალურად გამოყოფილ ზონაში, შემდეგნაირად:

- ჭურჭელი მექანიკურად თავისუფლდება საჭმლის ნარჩენებისგან;
- ირეცხება არანაკლებ 40°C ტემპერატურის წყლითა და სარეცხი საშუალებების გამოყენებით პირველ სამზარეულოს ნიჟარაში;

## შპს ელიტური სკოლა „გორდა“

- ირეცხება ხელმეორედ, არანაკლებ 40°C ტემპერატურის წყლითა და უფრო ნაკლები რაოდენობის სარეცხი საშუალების გამოყენებით მეორე სამზარეულოს ნიჟარაში;
- ივლება არანაკლებ 65°C ტემპერატურის ცხელი გამდინარე წყლით;
- იწრიტება და შრება საწრეტზე; o წვრილმანი ინვენტარი – დაფები, ნიჩბები, სათქვეფები და სხვა, ცხელი წყლით გარეცხვის შემდეგ შრება. სამზარეულოს ჭურჭელი ირეცხება ცხელ წყალში სარეცხი საშუალებებით. ჭურჭელი გაივლება არანაკლებ 65°C -იან ცხელ წყალში და დაიწრიტება;
- ხელით რეცხვისას გათვალისწინებულია სამგანყოფილებიანი ნიჟარები სასადილო ჭურჭლისათვის და ორგანყოფილებიანი შუშის ჭურჭლისა და სასადილო მოწყობილობებისათვის. დასაშვებია, შეზღუდული ასორტიმენტის ორგანიზაციებში სასადილო ჭურჭლისა და მოწყობილობების რეცხვა ორგანყოფილებიან სამზარეულოს ნიჟარებში;
- სარეცხ განყოფილებებში კედელზე იკვრება ინსტრუქცია ჭურჭლისა და ინვენტარის რეცხვის წესების შესახებ, გამოყენებული სარეცხი და სადეზინფექციო საშუალებების კონცენტრაციების მითითებით.

### მოლოდინები

#### რას ველით მოსწავლეებისგან?!

- ჰიგიენის წესების ზედმიწევნით დაცვას;
- სკოლის და სახელმწიფოს მიერ შემუშავებული წესების დაცვას;
- ხელების სადეზინფექციო ხსნარით დამუშავებას იმ შემთხვევაში, როცა ვერ ხერხდება ხელების დაბანა თხევადი საპნით და ერთჯერადი ხელსახოცით გაშრობა;
- ხელების დაბანას წყლითა და საპნით ხილული დაბინძურების შემთხვევაში ან ბიოლოგიური სითხეების მოხვედრისას;
- დახველებისა და დაცემინების დროს სუფთა ხელსახოცის (რომელიც ერთჯერადი გამოყენების შემდეგ ექვემდებარება გადაგდებას) ან მოხრილი
- იდაყვის მიფარებას;
- ხელებით თვალებზე, ცხვირზე და პირზე შეხების არიდებას;

## შპს ელიტური სკოლა „გორდა“

- სწავლების პერიოდში თმის შეკვრას ან მჭიდროდ დამაგრებას, რათა მაქსიმალურად შეიზღუდოს თმების სახის ზედაპირთან შეხება;
- მხოლოდ საკუთარი ნივთების გამოყენებას;
- ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების შემთხვევაში, ექიმთან მიმართვას;
- კონკრეტული სივრცის/საკლასო ოთახის/დერეფნის დატოვებას მხოლოდ მასწავლებლის, ადმინისტრაციის თანამშრომლის ნებართვით ან წინასწარ დადგენილი გრაფიკით;
- მუდმივად სათადარიგო პირბადის ტარებას;
- მუდმივად სასმელი წყლის საკუთარი თერმოსით ან ბოთლით ტარებას.

### რას ველით მშობლებისგან?

- ცხელების/რესპირატორული დაავადების შემთხვევაში მოსწავლის შინ დატოვებასა და ექიმთან მიმართვას;
- ცხელების/რესპირატორული დაავადების სიმპტომების გამოვლენის შემთხვევაში, მოსწავლის დროულად გაყვანას სკოლიდან და ბავშვის ოჯახის ექიმთან ან ცხელების ცენტრში მიყვანას, ან 112-თან დაკავშირებას, შესაბამისი სამედიცინო მომსახურების მისაღებად და პჯრ-ტესტირების ჩასატარებლად;
- სახლის პირობებში ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების შემთხვევაში სკოლის ადმინისტრაციის/დამრიგებლის გაფრთხილებას/საქმის კურსში ჩაყენებას;
- ცხელების ან სხვა რესპირატორული დაავადების სიმპტომების გამოვლენისას ბავშვის მიმართვას ოჯახის ექიმთან, ან ცხელების ცენტრში, შესაბამისი სამედიცინო მომსახურების მისაღებად და პჯრ-ტესტირების ჩასატარებლად;
- ამ გაიდლაინისა და საზოგადოებრივი ნორმების განხორციელებისას, აქტიურად თანამშრომლობას სკოლის ადმინისტრაციასთან, უკუკავშირს და ინტენსიურად ინფორმაციის გაცვლას.

**დასკვნითი დებულებები**

- ამ გაიდლაინის დებულებათა განხორციელებისათვის, ადმინისტრაციის საქმიანობაში (დაგეგმვაში, განხორციელებასა და მონიტორინგში) ინტენსიურ მონაწილეობას იღებს სკოლის დიპლომირებული მედიკოსი;
- მოსწავლის/თანამშრომლის COVID-19-ით ინფიცირების დადასტურების შემთხვევაში, ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება, მათ შორის კონტაქტების მოძიებისა და კარანტინის/თვითიზოლაციის თაობაზე გადაწყვეტილებების მიღება ხდება საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახურების რეკომენდაციების შესაბამისად;
- ნებისმიერი ქმედება, პროცესი, უფლება ან ვალდებულება, რომელიც ამ გაიდლაინით არ არის განსაზღვრული, რეგულირდება დოკუმენტით - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (დანართი 37: „ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-
- დაკავშირებული ზოგადი რეკომენდაციები ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის“) და მთავრობის/უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებებით;
- მოცემული დოკუმენტი შედგენილია გამოქვეყნების თარიღისათვის არსებული ეპიდემიოლოგიური სიტუაციისა და შესაბამისი მარეგულირებელი დოკუმენტების გათვალისწინებით. სასწავლო პროცესის დაწყებამდე ან მისი მიმდინარეობისას, ნებისმიერი საკანონმდებლო ან სხვა ტიპის ცვლილების შემთხვევაში, სასკოლო საზოგადოებას ეცნობება დამატებით.

**გისურვებთ ჯანმრთელობას!**